პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის ᲛᲔ-ᲐᲗᲔᲚᲘ
№ 300 (13992) | ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ—ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

რთული პროფესიის ადამიანები

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ენგურჰესის მშენებლობის № 1 საგზაო უბანზე. მთებში ყოველდღიურად გაისმის აფეთქების ხმა. გაჰყავთ გზები, მშენებლობისათვის საჭირო ბილიკები... რთულია ამფეთქებლის პროფესია, მაგრამ ენგურჰესის მშენებლებმა „ფრიადზე" აითვისეს იგი. ეს კარგად ჩანს ამ სურათზე. № 1 საგზაო უბნის ამფეთქებლები მთამსვლელებივით მიცოცავენ კლდეზე... რამდენიმე საათის შემდეგ კი ხეობას მოედება მორიგი აფეთქების ექო.

ფოტო გ. გოგოხიანი და შ. ჩხეტიანისა.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲓᲘᲓᲘᲡ ᲮᲣᲗᲘᲝᲛᲔᲓᲘ ᲓᲦᲔ, და დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელი ესტაფეტას გადასცემს ახალ, 1968 წელს, ხუთწლედის მესამე წელს. მიმდინარე წელი კი ჩვეულებრივი როდია. იგი აღსავსეა უდიდესი შრომითა და აღმშენებლობით, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი უნარის არნახული მოზღვავებით.

საბჭოთა სამშობლოს ნახევარსაუკუნოვანმა იუბილემ მთელი ძალით ცხადყო კომუნისტური პარტიისა და ხალხის მჭიდრო კავშირი, ურღვევი ერთიანობა. პარტიის იდეები, პარტიის გეგმები სულ უფრო და უფრო ღრმად ხვდება ხალხის ჯულსა და გონებას. და სწორედ პარტიისადმი ადამიანთა უსაზღვრო ნდობის ერთ-ერთი უმაღლესი გამოვლინება ის არის, რომ ისინი თავიანთ ბედს მთლიანად უკავშირებენ პარტიას არა მარტო იდეურად, არამედ ორგანიზაციულადაც.

დიახ, სულ უფრო და უფრო დიდია ადამიანთა მისწრაფება პარტიაში შესვლისათვის. მარტო საიუბილეო წლის 9 თვეში ჩვენს რესპუბლიკაში სკკპ წევრობის კანდიდატად მიღებულია 8.700-მდე კაცი, რომელთა თითქმის ნახევარს მუშები შეადგენენ.

რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, რომლებიც თავიანთ მოღვაწეობაში განუხრელად ხელმძღვანელობენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, ყოველდღიურად აუმჯობესებენ პარტიაში მიღების საქმეს, უფრო მეტად ზრუნავენ პარტიული ორგანიზაციების თვისებრივი შემადგენლობის ამაღლებისათვის, კომუნისტთა რიგების სიმტკიცისა და სიწმინდისათვის.

სიმკაცრე, მომთხოვნელობა ახალი წევრების შერჩევისა და პარტიაში მათი მიღების დროს — აი ის აუცილებელი პირობა, რითაც დაცული იქნება ჩვენი პარტია ულირსი ადამიანების შეღწევისაგან. სწორედ ამიტომ უკანასკნელ ხანს გაიზარდა ავრეთვე კომუნისტთა პასუხისმგებლობა ყოველი რეკომენდაციისათვის. პარტიულ კრებებზე, ბიუროების, კომიტეტების სხდომებზე უფროღრმად, საფუძვლიანად და პრინციპულად მსჯელობენ პარტიაში შესვლის მსურველის პოლიტიკურ, მორალურ და საქმიან თვისებებზე. ამ მხრივ მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქალაქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებთან არსებული პარტიაში მიღებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების განსახილველი შტაბგარეშე კომისიები.

მაგრამ პარტიაში მიღება დიდი საქმის მხოლოდ ერთი მხარეა. და პარტიული ორგანიზაცია მარტო იმით როდი კმაყოფილდება, რომ კომუნისტმა კანდიდატის ბარათი, პარტიული ბილეთი მიიღო. საქმის თავი ის არის, რომ თვითეული ახალგაზრდა კომუნისტი აქტიურად ჩაებათ მთელ ორგანიზაციულ ცხოვრებაში, ერთი წუთითაც არ შეგვნელოთ მუშაობა მისი აღზრდისათვის, მისი წრთობისათვის.

საამისოდ კი პარტიულ ორგანიზაციებს ბევრი ნაცადი ფორმა და მეთოდი აქვთ. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ავრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ბევრ პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი სკკპ წევრობის შემსწავლელი სკოლები და წრეები. ბევრგან უნარიანად იყენებენ ავრეთვე ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს. ახალგაზრდა კომუნისტთა შეხვედრებს ძველ ბოლშევიკებთან, ომისა და შრომის ვეტერანებთან, ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან.

ძველი თაობის კომუნისტთა გმირული მაგალითი ხომ საუკეთესო საშუალებაა ყოველი ახალგაზრდა კომუნისტის აღზრდისათვის! სწორედ მათი მაგალითით შრომობენ და იღვწიან დღეს მრავალათასობით სკკპ წევრობის კანდიდატები, ახალგაზრდა კომუნისტები, ისინი ამჟამად ჩვენი პარტიის თითქმის მეოთხედს შეადგენენ. რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში თუ ახალმშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებში — ყველგან შეხვდებით ახალგაზრდა კომუნისტებს, რომლებიც შრომისა და შემოქმედების შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან, უფრთხილდებიან და ამრავლებენ კომუნისტური პარტიის სახელოვან ტრადიციებს.

ამჟამად რესპუბლიკის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში დასასრულს უახლოვდება მეტად მნიშვნელოვანი კამპანია — ანგარიშგება-არჩევნები. პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გვიჩვენა, თუ როგორ გაუხარელად მაღლდება პარტორგანიზაციათა, მათი ბიუროების, კომიტეტების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის დონე, როგორ იღვწიან ისინი იმისათვის, რომ ყოველ კომუნისტში აღზარდონ ბოლშევიკის თვისებები — მაღალი იდეურობა და დისციპლინიანობა, აქტიურობა და პასუხისმგებლობა.

თბილისის მეტროშენებელთა პარტკონფერენციაზე მაუდ-კამეოლი ის კომბინატისა და სხვა პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე აშკარად ჩანდა, რომ ამ კოლექტივებში ჭეშმარიტად გულწრფელობის, მომთხოვნელობის ატმოსფეროა, რომ კომუნისტები არ ურიგდებიან ნაკლს, რუტინას, გაბედულად უჭერენ მხარს ახალსა და მოწინავეს. აქ მუდამ ისმის პრინციპული კრიტიკის ხმა, სწორედ ასეთი ვითარება იძლევა იმის საშუალებას, რომ ახალგაზრდა კომუნისტმა პირველი ნაბიჯებიდანვე შეითვისოს პარტიული ქცევის მაღალი ნორმები.

მაგრამ ასეც ხდება. პარტიული ორგანიზაცია ვერ იტანს სათანადო ბრძოლისუნარიანობას, დაბალია კომუნისტთა აქტივობა. მოხდება აქ ახალგაზრდა კომუნისტი და მისი აღზრდაც თვითდინებით მიდის. ლენინგორის რაიონის ხორეთ-მოედნის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ითქვა, რომ კომუნისტთა ერთი ნაწილი იშვიათად ესწრება პარტიულ კრებებს, სრულიად არ მონაწილეობს პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში. სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები სხვაგანაც გვხვდება.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდა კომუნისტის აღზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მათს აქტიურად ჩაბმას ორგანიზაციულ მუშაობაში, თვითეული მათგანისათვის როგორც მუდმივი, ისე ერთდროული დავალებების მიცემას. მაგრამ ამასთან მარტო დავალებათა განაწილება როდი კმარა. საჭიროა პარტიული ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი ორგანო განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდეს კომუნისტების მიერ დავალების შესრულებისადმი, განუმტკიცოს მათ პასუხისმგებლობა, ავრეთვე პრაქტიკული დახმარებაც გაუწიოს, და სადაც ამ ჭეშმარიტებას ივიწყებენ, სადაც პარტიული დავალებების შერჩევასა და განაწილებას ფორმალურად ეკიდებიან, თავს იჩენს ხოლმე უმოქმედობა, სიზანტე, პასიურობა, ხშირად კი უპასუხისმგებლობა.

ახალგაზრდა კომუნისტის იდეური წრთობა, მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძვლებით მისი მუდმივი შეიარაღება, პარტიულ ორგანიზაციათა მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. დიახ, კომუნისტი მუდამ უნდა სწავლობდეს. ეს ხომ უპირველესი საწესდებო მოვალეობაა. ამიტომ უკანასკნელ ხანს პარტიული განათლების ქსელში დამკვიდრებული ახალი სისტემა დიდ ხელშემწყობ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ყოველი მათგანი ნაყოფიერად სწავლობდეს დამოუკიდებლად, სემინარებზე, სკოლებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებში.

ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში პრასწორად ფიქრობენ, რომ სკკპ წესდება — პარტიული ცხოვრების ეს ძირითადი კანონი კომუნისტმა პარტიაში შესვლამდე შეისწავლა და შემდეგ მის პრობაგანდისათვის მისი შესწავლისათვის მუშაობა საჭირო აღარ არისო. რა თქმა უნდა, ასეთი შეხედულება ძირშივე მცდარია. სკკპ წესდების შესწავლა, სანესდებო მოთხოვნების დაცვისადმი კონტროლი მოკლევადიანი, ეპიზოდური კამპანია კი არ არის, არამედ ყოველდღიური პარტიულ-ორგანიზატორული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

სწორად იქცევიან ის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სამუშაო გეგმებში სპეციალურად ითვალისწინებენ ახალგაზრდა კომუნისტებთან მუშაობის საკითხებს, როგორიც არის: კითხვა-ასუხის საღამოები სკკპ პროგრამასა და წესდებაზე; პარტიული მშენებლობის აქტუალური საკითხების განხილვა; შეხვედრები ძველ კომუნისტებთან, პარტიულ ხელმძღვანელებთან; ახალგაზრდა კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა პარტიულ კრებებზე, ბიუროების, კომიტეტების სხდომებზე, თუ როგორ ასრულებენ ისინი პარტიის წევრის მოვალეობებს და სხვ. საჭიროა ეს სასარგებლო პრაქტიკა სხვა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმაც გადმოიღონ.

ყოველდღიურად მოდის და მოდის ჩვენი პარტიის ახალი შეხება! და სწორედ იმაზე, თუ რა ზრუნვას გამოიჩენენ თვითეული ახალგაზრდა კომუნისტისადმი, როგორ იმუშავებენ მისი აღზრდისათვის, ბევრად იქნება დამოკიდებული თვით პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, ჩვენი საერთო საქმის წარმატება.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ დაამთავრა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეთა მოადგილეების, სამხარეო აღმასკომების, საოლქო აღმასკომების თავმჯდომარეთა იმ მოადგილეების შეიდდღიანმა სემინარმა, რომლებიც სოფლის მეურნეობის საკითხებს განაგებენ. სემინარი რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ მოაწყო მოსკოვში.

25 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, კრემლში, გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ა. ნ. კოსიგინის** შეხვედრა სემინარის მონაწილეებთან.

ამხ. ა. ნ. კოსიგინმა თავის გამოსვლაში გააშუქა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების უახლოესი წლების ძირითადი პრობლემები.

დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანას და მეურნეობის ყველა დარგში მისი გადაწყვეტის გზებს. მექანიზირულ-ტექნიკური პროგრესისა და საფარმოო ძალების რაციონალურად განლაგების, 1971—1975 წლებში სახალხო მეურნეობის განვითარებაში ძირითად პრობლემათა სწორად განსაზღვრისა და ახალი ხუთწლეულის გეგმის შესადგენად მომზადების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს.

შემდეგ ამხ. ა. ნ. კოსიგინი შეეხო სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს.

გამოსვლაში მთავარი ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს კაპიტალური მშენებლობის საქმე ჩვენს ქვეყანაში, ავრეთვე განვითარდეს მსუბუქი და კვების მრეწველობა და დაამყაროდეს მოსახლეობის მოთხოვნა სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელზე.

დასასრულ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა დაახასიათა სპერთაშორისო მდგომარეობა.

ამხ. ა. ნ. კოსიგინთან ერთად შეხვედრაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. ი. ვორონოვი**, რუსეთის სფსრ ფინანსთა საბჭოს პირველი მოადგილე ამხ. **ო. ა. კოლინა**, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ამხ. **ა. მ. შკოლნიკოვი, კ. გ. პისანი, ა. ე. ბირიუკოვი, კ. მ. გერასიმოვი, ვ. ა. დეკანენკო, ვ. ა. ციკოვი, ვ. ი. კოტეგასოვი, ლ. პ. ლიკოვი**, სრულიად საკავშირო კავშირთანებია „საკოთხელტრანსის" თავმჯდომარე ამხ. **ვ. ა. ოფეესკი**, რუსეთის სფსრ მინისტრები და უწყებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს აპარატების პასუხისმგებელი მუშაკები.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებით დაარსა საუბილეო მედალი „სსრ კავშირია შეიარაღებული ძალების 50 წლისთავი".

საუბილეო მედალით „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 50 წლისთავი" ჯილდოდებიან მარშლები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები, ავრეთვე ზვიადიანი სამსახურის ზემდეგები, სერჟანტები, ჯარისკაცები და მატროზები, რომლებიც 1968 წლის 23 თებერვლისათვის იერიცხებიან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს ჯარების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების კადრებში, სამხედრო სასწავლებელთა მაჯენელები და კუსანტები.

აღნიშნული მედლით ჯილდოდებიან აგრეთვე მარშლები, გენერლები, ადმირალები, ოფიცრები და ზვიადიანი მოსამსახურენი, ნამდვილი სამხედრო სამსახურიდან სათადარიგოდ განთავისუფლებულნი ან გადამდგარნი და 20 და მეტ კალენდარულ წელიწადს ნამსახურნი, საბჭოთა კავშირის გმირები და პირნი, სამი ხარისხის დიდების ორდენებით დაჯილდოებულნი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ

26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვის კრემლის სეარდლოვის დარბაზში გაიმართა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის მოღვაწეებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დიპლომებისა და ნიშნების გადაცემის საზეიმო ცერემონია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ს. ტიხონოვმა გულთბილად მიულოცა სახელმწიფო პრემიის ლაურეატებს და გადასცა მათ ლაურეატის დიპლომები და ნიშნები.

მოსკოველებმა, რომლებიც ვადაცემის ზეიმს დაესწრნენ, მხურვალედ მიულოცეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის პირველ ლაურეატებს.

(საქინფორმი).

ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ მოხმარების საქონლის ჭოთა ვაჭრობის განვითარებაში. წარმოების გადიდების, მოსახლეობის შემოსავლის ზრდის შედეგად მიღწეული გეგმა, დაწესებული ფასები შემდგომი წარმატებები საბ-ფო გეგმა, დაწესებული ფასები ვის სამინისტროს, 1967 წლისათვის 119,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით, შესრულებულია ადამდე — 26 დეკემბერს.

1966 წელთან შედარებით საცალო საქონელბრუნვა გადიდდა შესადარ ფასებში 9 პროცენტით.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲨᲘᲜᲚᲘᲡᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲚᲗᲐ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲓᲘᲓᲘ აღფრთოვანებით შეხვდნენ მცხეთელი მექანიზატორები საგარეჯოს რაიონის მექანიზატორების პატრიოტულ თაოსნობას — ფართოდ გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება **ვ. ი. ლენინის** დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად და ადრე მაჩვენებლების მიხედვით ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

მექანიზატორები სასახლოო მაჩვენებლებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის საიუბილეო თარიღს. მათ თავიანთი სიტყვა საქმით დაამშვენეს და საბოლოოდ თარიღისთვის ვადაგაზარბებით შეასრულეს წლიური გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მექანიზატორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თვითეული ტექტარის დამუშავების თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით 70 აბაზით შეამცირეს და დაზოგეს 28 ტონა საწვავ-საცხები მასალები.

მცხეთელი მექანიზატორები საგარეჯოელთა, თაოსნობის პასუხად კისრულობენ შემდეგ ვალდებულებებს:

1968 წლის 1 მარტამდე დაამთავრონ ტრაქტორის, გუთნების, სათესი მანქანების, კულტივატორების და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი. მანქანათა სრული კომპლექსის გამოკენებით, მექანიზაციის დონის ამაღლებით, სამეშოთა შემჭიდროებელ ავარიებში და მაღალხარისხოვნად შესრულებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ჰექტარზე გადიდონ 20 ცენტნერით. მცხეთელობის თერმებში შრომატევადობა მეშოთა მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის დონის ამაღლებით მიაღწიონ წილადობის, ხორცისა და მცენარეულობის სხვა პროდუქტების წარმოების ზრდას.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მაღალნაყოფიერად გამოყენებით, შრომის სწორი ორგანიზაციით 3 პროცენტით დაზოგონ საწვავ-საცხები მასალები. ერთი პირობითი ჰექტარის დამუშავების (რბილად ხვნა) თვითღირებულება შეამცირონ 15 აბაზით და ყოველი ლონისძიებით გაუმჯობესონ მექანიზატორთა კულტურული და საყოფაცხოვრებო პირობები.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს თავიანთი განაცხადების მიხედვით „საქსოფლტექნიკის" რაიონიანი გაყოფილება უზრუნველყოფს სათადარიგო ნაწილებით, ახალი ტექნიკით, სასუქებით, შხამქიმიკატებით, სხვა საწარმოო დანიშნულებისა მასალებით და ტექნიკური მომსახურებით.

ახალი, გადიდებული ვალდებულებები იცისრეს აგრეთვე საქართველოს მანქანათა საგამაცხო სადგურის, მცხეთის მექანიზაციის საცდელი მეურნეობის, ნატახტრის მერქანგეგმა-მებოსტნეობის, საქართველოს სასელექციო სადგურის, მცხეთის სახელმწიფო სანერგე მეურნეობისა და მეხანარის, ქსოვილისა, ძალისის, საკურთამოსა და სხვა სოფლის კოლმეურნეობების მექანიზატორებმ.

ეს ხელს შეიწყობს ვადაზე ადრი შესრულდეს ფოთლისა და მარცვლეულის, ხილის, ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების ხუთწლიანი გეგმები.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲐᲕᲐᲜ�გᲐᲠᲓᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ მექანიზატორები გულდასმით გაეცნენ საგარეჯოელთა თაოსნობას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნისა და ხუთწლეულის ადრემდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ჯამლის შესახებ.

ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. რაიონის მექანიზატორებმა ვალდებულება იცისრეს მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 60 ტრაქტორისა შეაკეთონ 70 ტრაქტორი. უკვე შეკეთებულია 66 ტრაქტორი. შესრულებულია აგრეთვე ავტომანქანების, გუთნების, სათესებისა და კულტივატორების რემონტის დავალება.

რემონტის საქმეში კარგად იმუშავეს ნატახტრის, ლიხაურის, გურიანთის, ასკანის, ბახვის კოლმეურნეობებისა და ლაითერის სამეურნეოს მეურნეობის მექანიზატორებმა.

რაიონის მექანიზატორებს არც „საქსოფლტექნიკის" მახარაძის სარემონტო სახელოსნოს მექანიზატორებ ჩამორჩენენ. წელს სახელოსნოს უნდა შეეკეთებინა 105 ტრაქტორი. 20 დეკემბრისათვის ეს გეგმა შესრულებულია.

სახელოსნოს მუშებმა პირობა დადეს 1968 წლის I კვარტალის ტრაქტორების რემონტის დავალება შეასრულონ 15 მარტისათვის, ნაცვლად 65-ისა შეაკეთონ 70 ტრაქტორი.

ჩვენი მექანიზატორები სიტყვას საქმედ აქცევენ. ისინი ახლა თავდადებით შრომობენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. შრომის ავანგარდში არიან ზეიფლელები. ალექსანდრე დალუნიშვილი, შოთა ორაგველიძე, სერგო ხომერიკი, ბარატები პეტრე, კუტა და მამია ცეცხლაძეები, მკედელი ნიკერო სადრაძე, შემდეგ ბაკური სლაგა. ივანოვი, ელექტრომექანიკოსი თამაზ მუჯირი და სხვები.

ᲚᲔ. ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ.

„საქსოფლტექნიკის" მახარაძის გაერთიანების მთავარი ინჟინერი.

ᲒᲔᲒᲔᲯᲛᲝᲠᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲠᲔᲙᲔᲢᲔᲑᲘ

ᲡᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ წელს ნაკისრი ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის ენერგიულად იშრომეს გეგეჭკორის რაიონის მშრომელებმა. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მეცხოველეები, რომლებმაც სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის 103,7 პროცენტით შეასრულეს. სახელმწიფოს მიეყიდა 7.820 ცენტნერი რძე, ანუ გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. 100 პროცენტით შესრულდა სახელმწიფოსათვის კვერცხის მიყიდვის გეგმა, ხილის მიყიდვისა — 122 პროცენტით, ხურმისა — 104 პროცენტით. რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იცისრეს 1 იანვრამდე სახელმწიფოს დამატებით მიპყიდონ 25 ტონა ხორცი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ეს „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ" რედაქციას აცნობეს პარტიის გეგეჭკორის რაიონის მეორე მდივანმა ბახტიმ, რაიისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ᲡᲣᲠᲛᲐᲕᲐᲛᲐ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ᲯᲔᲚᲘᲛᲐ.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ საოლქომოტორო დეპოს კოლექტივმა 18 დეკემბერს შეასრულა წლიური საწარმოო გეგმა. წლის დადგენიდან შრომის ხაყოფიერება 2 პროცენტით გაიზარდა გეგმასთან შედარებით, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ შეადგინა 649.500 მანეთი. კიდევ უფრო გაუმჯობესდა ლოკომოტივების პარკის გამოყენება. მარტო დიდწონიანი შემადგენლობებით დადგენილი ყონითი ნორმის გადაჭარბებით გადაზიდულია 687.758 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი — 412.758 ტონით მეტი, ვიდრე ვალდებულებით იყო გათვალისწინებული. ამასთან დაზოგილია დაახლოებით 800 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია.

საუბილეო წელს მნიშვნელოვნად გადიდდა კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების. რიცხვი. ახლა ლეკომი არის კომუნისტური შრომის ვეიდი საამქრო, კომუნისტური შრომის 61-ბრიგადა და 350 დამკვრელი. მათ შორის არიან შემმინმეწონე მემანქანეები ა. ჯაფარიშვილი, ლ. მეხაბდე, ვ. ბოჭოიძე, გ. ლომსაძე, ხ. ხარებავა, ნარატები ვ. გვენცაძე, ი. სლეკოცკი, ზეინკლები გ. ეგანოიძე, ვ. მღებრიშვილი, რომელნიც 1968 წლის თებერვლის ანგარიშში მუშაობენ.

იყენებენ რა მოძრავი შემადგენლობის გაჯანსაღების პროგრესულ მეთოდებს, საწარმოს შემკეთებელმა მუშებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს ლოკომოტივების არამუშარმოებური დგომა და რემონტის თვითღირებულება. საკმარისია ითქვას, რომ ლოკომოტივების მოცდენის შემცირებამ ნარტო აწეკითი რემონტის დროს საწარმოს დაუზოგა 17 ათას მანეთზე მეტი. სარემონტო სამუშაოთა დასაჩქარებლად მომდინარე წლის III კვარტალში აქ დაინერგა ჭსელური გრაფიკი.

— მიღწეული ზღვარი როდია, — ამბობენ დეპოს დიდწონიან შემადგენლობათა ტარების ოსტატები და შემკეთებელი მუშები. დაუჭირეს რა მხარი ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას, მათ ვალდებულება იკისრეს ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის. (საქდესი).

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საქ. კორ.). აქაური მეშახტეები მხურვალედ გამოეხმაურნენ ნოსკოვის მოწინავე საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას და ფართოდ გაეჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ადრემდე შესრულებისათვის.

ამ საოლქოთაო-სახალხო ლაშქრობაში თავისი წვლილი შეიტანა „ტყიბულ-ქვანახშირის" ტრესტმა (მმართველი ნ. ციბიხიძე). რომელმაც ადრეზე 9 დღით ადრე ეპატაჟა „მაღი თქროს" მოპოვების მომდინარე წლის სახელმწიფო დავალების შესრულება.

მომავალი წლის ანგარიშში დიდაანი სათბობი ამოიღო ოქტომბრის 50 წლისთავის სამახსოვრო დროშის მოსოლბელმა — სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა.

ტყიბულელები ახლა იმისათვის იღგიწენ, რომ წლის ბოლოამდე დარჩენილ დღეებში დამატებით ამოიღონ 71 ეშელონი საკოქსე ქვანახშირი.

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲭᲔᲠᲔᲗ ᲞᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ ᲗᲐᲝᲡᲜᲝᲑᲐᲡ

საქართველოს მშრომელები გამოეხმაურნენ მოსკოველთა პატრიოტულ წამოწყებას გაეჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. ამ წამოწყებას გამოეხმაურნენ აგრეთვე ვაჭრობის მუშაკები.

რესპუბლიკის ვაჭრობის მუშაკთა შორის პირველმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იცისრეს ქალაქ თბილისის საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს მუშაკებმა: საქონელბრუნვის ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ ვადამდე 1970 წლის 20 დეკემბრისათვის და ხუთწლედის დამლევამდე უზრუნველყონ საქონელბრუნვის ზრდა სულ ცოტა 48 პროცენტით; 1968 წლის დავალებანი შეასრულონ 25 დეკემბრისათვის; დაგრავების გეგმა ყოველწლიურად 6 პროცენტის გადაჭარბებით შეასრულონ; უზრუნველყონ საკუთარი პროდუქციის წარმოება ყოველწლიური ზრდა 13,9 პროცენტით და ხუთწლედის დამლევამდე გაჯარდონ პროდუქციის წარმოება 72 პროცენტით; გაფართოონ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი და მისი განვითარების გეგმას გადააჭარბონ 1000 ადგილით, ფართოდ დანერგონ მშრომელთა მომსახურების პროგრესული მეთოდები, აამაღლონ მისი კულტურა.

ვალდებულებით გათვალისწინებულია მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება, საზოგადოებრივი კვების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, მასობრივი შეჯიბრება შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის და კომუნისტური შრომის საწარმოთა, ბრიგადებისა და დამკვრელების რიცხვის გადიდებისათვის.

ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ისწრაფვის რა თავისი წვლილი შეიტანოს საბჭოთა ვაჭრობის შემდგომ აღმავლობაში, „რუსთავვაჭრობის" კოლექტივმა იკისრა ვალდებულება საქონელბრუნვის ხუთწლიანი გეგმა შეასრულოს 1970 წლის 1 დეკემბრისათვის და ხუთწლედის დამლევამდე გეგმის გადამტკიცებით მიპყიდოს მოსახლეობას სულ ცოტა 4 მილიონი მანეთის საქონელი, ხოლო 1968 წლის დავ

კეთილი სამსახურის ფრონტზე

საყოფაცხოვრებო სამსახური! რა დიდ როლს ასრულებს იგი ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ სამსახურის მუშაკები რაც შეიძლება სრულად აკმაყოფილებდნენ მის საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებს, შეეძლოთ სახელმწიფოებრივად მიუდგნენ ყოველივე, ერთი შეხედვით პატარა, თხიერს. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული ადამიანის კარგი გუნება, იზოგება ძვირფასი დრო.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იქმნება მომსახურების სფეროს გაფართოების პირობები. უკანასკნელ წლებში სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა საყოფაცხოვრებო სამსახურის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, მისი ორგანიზაციის სრულყოფისათვის.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები სულ უფრო ახლოს მიდიან მოსახლეობასთან, ღრმად სწვდებიან და ითვალისწინებენ მის მოთხოვნილებებს. აშკარად რესპუბლიკის სოფლებს მომსახურებას უწევს 8 ათასზე მეტი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი. განსაკუთრებით მთიანი, დაშორებული სოფლების გადაუდებელი მომსახურების უზრუნველსაყოფად მიმდინარე წელს შეიქმნა 200 სტაციონარული და დროებითი მიმდები პუნქტები, რაიონული და საქალაქო კომბინატების გამსვლელი კომპლექსური ბრიგადები, რომლებიც გრაფიკის მიხედვით ჩადიან სოფლებში და ადგილებზე ასრულებენ დაკვეთებს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ფრონტზე საიუბილეო წელს ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება, და სასურველ შედეგსაც მიაღწიეს. მიმდინარე წლის 11 თვის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 102,1 პროცენტით შესრულდა. ხალხის კეთილი სამსახურის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი ადიგენის, სარჩერის, ჭოფალისის, სამტრედიის, ხაშურის, ფოთის საყოფაცხოვრების მომსახურების სამმართველოებმა.

მაგრამ სამწუხაროა ის, რომ ამ სისტემაში არიან სამმართველოები, რომლებიც წლიდან წლამდე ვერ ასრულებენ გეგმებს, ცუდია მათი მომსახურების კულტურა და ხარისხი. ასეთია: ასპინძის, თიანეთის, ლენტეხის, ყვარლის, ორჯონიკიძის, მესტიის, მცხეთის, წულუკიძისა და მთელი რიგი სხვა სამმართველოები.

რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში ბევრი რამ კარგი გაკეთდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბევრგან მომსახურების კულტურის დონე დაბალია. მომხმარებელი შესრულებული სამუშაოს ხარისხით უკმაყოფილოა, ჭიანურდება ახალი ობიექტების გახსნა, ცდება ძვირფასი მოწყობილობა, ჯერ კიდევ დაბალია მომსახურე პერსონალის კვალიფიკაცია, ზოგიერთ სახელოსნოებში მოკალთებული არიან „საქმოსნები“.

სწორედ მოპოვებულ მიღწევებსა და ჯერ კიდევ არსებულ სეროზულ ნაკლოვანებებზე იქნა ყურადღება გამახვილებული საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

პარტიული ორგანიზაციის ბიუროს საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც მისი მდივანი ა. ჩარკვიანი გამოვიდა, აღნიშნული იყო, რომ კრებებზე მთავარი ყურადღება ექცეოდა შინაპარტიული მუშაობის საკითხებს. საკითხების მსმენელებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბიუროს წევრები, ცალკეული კომუნისტები. საანგარიშო პერიოდში განხილულ იქნა 24 საკითხი. უმთავრესად ისინი ეხებოდა კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებას.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ფართო მსჯელობის საგანი იყო მასობრივ-პოლიტიკური შუშაობა, კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის საქმიანობა, მშრომელთა განცხადებებზე, საჩივრებსა და წინადადებებზე რეაგირება, სამინისტროს ცალკეული ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულება და სხვ.

ფართოდ შეეხნენ კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობას. აღნიშნა, რომ რეგულარულად არ ეწყობოდა კრებები, სამინისტროს საქმიანობაში არ ავარდნია კომკავშირელების აქტიური მონაწილეობა.

პარტიის რაიკომის მითითებით სამინისტროს პარტიულ ორგანიზაციასთან შეიქმნა დარაჯობრივ განყოფილებათა 5 პირველადი პარტორგანიზაცია. საანგარიშო პერიოდში ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა, მაგრამ კრებაზე ისიც აღინიშნა, რომ განყოფილებათა კომუნისტები ზოგჯერ პრინციპულობასა და აქტივობას ვერ იჩენდნენ ჩამორჩენილი დარგების წამოსაწევად.

როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში მა გამოსულმა კომუნისტებმა ბ. კვერდელიძემ, ა. პიკუსმა, გ. ლორთქიფანიძემ, ი. ხეხნიაშვილმა, ვ. დევდარიანმა, ი. ხუციელაშვილმა, პ. გელხვიძემ, ნ. გამყრელიძემ, ა. მიქაუტაძემ და სხვებმა პირფთვნელად ამხილეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

სამინისტროს სისტემაში დღეისათვის უმოქმედოდ ყრია 188 ათასი მანეთის ᲦᲘᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ 389 დასახელების მანქანა-დანადგარი. მაგრამ პარტიაური ჯერაც არ დაინტერესებულა ამ საკითხით და იგი მსჯელობის საგნად არ გაუხდია.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მშენებლობის საკითხებზე. როგორც კრებაზე გამოიტანა, იქ საქმე რიგზე როდი ყოფილა. ამას ისიც ადასტურებს, რომ მშენებლობის საკითხი სამინისტროს კოლეგიამ ექვსჯერ მოიხილა. სამუშაოდან გაათავისუფლა ულირსი მუშაკები და დამნაშავეების საკითხი საგაუმჯობესოდ ორგანოებს გადასცა. ეს კარგია, მაგრამ ცუდია ის, რომ კაპიტალური მშენებლობის განყოფილება და იქ მომუშავე კომუნისტები, როგორც ჩანს, მინდობილ საქმეს უპასუხისგებლოდ ეკიდებიან. ცხადია, განყოფილებას და მის კომუნისტებს კეთილსინდისიერად რომ ეშუშავნათ, სერიოზული და სისტემატური კონტროლი გაეწიათ ადგილებზე მშენებლობისათვის, დროულად შენაშენავდნენ დადგენილებათა შესრულების შედეგებზე, ახალგაზრდკომუნისტებთან მუშაობის შესახებ, მუშაობასახურეთა საყოფაცხოვრებო, სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა.

სამინისტროს კომუნისტებმა პარტბიუროს განვლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს, დასახეს ქმედითი ღონისძიებანი კეთილი სამსახურის ფრონტზე პარტიული მუშაობის უკეთ წარმართვისათვის.

ზ. ჯამასპიშვილი.

ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲕᲘᲤᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ

თვითეულ ქვეყანას, დიდს თუ პატარას, აქვს თავისი საყვარელი, ყველაზე ცნობილი ეროვნული მდინარე, რომელიც სავალგან არ არის.

დიდ რუსეთს აქვს დიდი ჯოლგა... მას ტკბილად როდი ეალბინან დედას. მას ერთვის ანა მარტო ვვიდი ათასი მდინარე და ნაკადული, არამედ მასში მოთავსებულია ხალხისა და ქვეყნის ბედიც.

ის წარსულიც არის, აწმყოც და მომავალიც! მას მოუსმენია ბურლაკების სევდიანი სიმღერაც და მათი კვნესაც, უხანაგს სტეფანე რაზინის თავისუფლებისათვის მებრძოლი რაზმების მრისხანე ლაშქრობანი. მის დიდებულ ნაპირებზე შრიალებდა მეხელ ფრუხზეს და ვასილ ჩაპაევის სახელოვან ბეოსრათა მაღალი აწევული წითელი დროშები... ახსოვს სერგეი კიროვის ცნობილი სიტყვები: „სანამ ასტრახანის მხარეში არის თუნდ ერთი კომუნისტი, მდინარე ვოლგის შესართავი იყო, არის და იქნება საბჭოთა“.

ამ დიდ მდინარეზე მდებარე უკვდავ ქალაქს მთელი მსოფლიო იცნობს. ის ორჯერ შეეფდა ისტორიაში როგორც ჩვენი ხალხის მამაცობისა და გმირობის ქალაქი: სამოქალაქო ომისა. და დიდი სამამულო ომის პერიოდებში. პირველად როგორც ცარიცინი, მეორედ — როგორც სტალინგრადი.

* * *

დღეს მსოფლიოში არ არის ადამიანი, რომელმაც არ იცოდეს ეს ქალაქი. ამ ქალაქის კედლებთან დაუვიწყარ 1942 წელს გაიმართა ომების ისტორიაში უმაგალითო უდიდესი ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა ორას დღეზეს.

დღეს ბევრმა იცის, რომ ქალაქში შემოხსულია ფაშისტური ნაბიჯი, ფრანგეთ-ბელგიის ოთხსართულიანი შენობა, რომელიც ცნობილი გასდა როგორც „პავლოვის სახლი“. სახლი, რომელის ისტორია ელვა ლეგენდად... იგი 58 დღე ციცხლში იყო, მას იცავდა რვა ეროვნების წარმომადგენელი გვარდიის სერჟანტ ი. პავლოვის მეთაურობით. მათ შორის იყო ჩვენი თანამემამული ნ. მოსიაშვილი.

ქალაქის ცენტრში უნივერმაღის ფასადზეა დაფა წარწერით: „1943 წლის 31 იანვარს პოლკოვნიკ ბუბმაკოვის 38-ე მოტორიზებულმა ფეშოსანთა პოლკმა ამ შენობის სარდაფებში დაატყვევა გენერალ-ფელდმარშალი პაულიუსი, სარდალი გერმანიის ჯარების დაჯგუფებისა სტალინგრადთან, რომელშიც ᲬᲔᲓᲘᲠᲐᲓ 22 ᲐᲠᲛᲘᲐ და 3Ე-4 სატანკო არმია, რომელიც გარემოცულ და მთლიანად განადგურებულ იქნა სახელოვანი წითელი არმიის მიერ სტალინგრადის დიდ ბრძოლებში“.

გამვლელი ამ სტრიქონებს დღეს დამშვიდებით კითხულობს. მაგრამ კი!...

რამდენიმე ხნის წინათ ამ ქალაქში ვიყავით პარტიულ და სახმოთა მუშაკთა ერთი ჯგუფი. დაუვიწყარია ძმური მიღება, რაც მოგვიწყეს. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით გულწრფელობას, შეგობრობას, სითბოს. გვიკვირ და დიდი პატივი, ვგრძნობდი, რომ ამით პატივს ცემენ ჩვენს ხალხს. დავთვალიერეთ ქალაქიც ისტორიული და ღირსშესანიშნავი ადგილები, მისი მიწის ყოველი მეტრი. თვითეული ტაკვეი ნათლად გვაგონებს წითელი ცარიცინის დაცვის დაუვიწყარ დღეებს, სტალინგრადის გმირულ ბრძოლას, ვოლგოგრადელთა შრომითს მამაცობას. დრო მიდის, ისტორიის ლეგენდარული ფურცლები კი რჩება და შეუწყვეტლად ფურდებს: თაობიდან თაობებს გადაეცემა ყველაფერი, რაც აქ მოხდა!

ათასობით საბჭოთა ადამიანი და მრავალი უცხოელი სტუმარი მოდის თავდაცვის სახელმწიფო მუზეუმს დასათვალიერებლად.

შეჯერებელია აუცილებლად უყურებდე დარბაზის ცენტრალურ ნაწილში კარადაში დაცულ დივნიის ყოფილი მეთაურის, გვარდიის გენერალ-მაიორ ვ. ა. გლაზკოვის მაზარას. ის 169-ზე მეტ ადგილას არის ნამსხვრევებით და ტყვეებით გახვრეტილი. ის მოგვაგონებს მძაფრ და სისხლიმღვრელ ბრძოლებს, რომლებიც მიმდინარეობდა სტალინგრადის ქუჩებში, ქალაქის თავდადებულ დამცველთა სიმედგრეს და ძალმაცობას.

ქალაქის დასავლეთ განაპირა რაიონში და ზემო ეშანკაში 1942 წლის 8 ნოემბერს გამძვინვარებული ბრძოლა იყო. გენერალი გლაზკოვი სამეთვალყურეო ᲬᲣᲜᲥᲢᲘᲗ იყო, როცა ფაშისტები ფრონტის ᲪᲘᲠᲘᲗ უმაწვნი დიდი ძალებით შეტევაზე გადმოვიდნენ. მტრის ᲯᲐᲠᲘᲗ ᲯᲐᲠᲐ ᲛᲑᲐᲠᲘ ᲣᲬᲘᲠᲔᲓ 100-მდე ტანკი და 40 თვითმფრინავი. ნაღმის მსხვილმა ნამსხვრევმა გენერალი მიმიმედ დაჭრა. მაგრამ მან უარი თქვა ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲔᲖᲔ წასვლაზე. როგორც იქნა, ვასილ ანდრიას-ძე გლაზკოვი, რომელიც სისხლისაგან იცლებოდა, მოათავსეს მანქანაზე ზურგში გასაგზავნად. პიტლერელებმა შენიშნეს მანქანა და ცეცხლი დაუშინეს. გენერალი გლაზკოვი გმირის სიკვდილით დაიღუპა სამხრეთ პოსტზე.

ამ ლეგენდარულ მაზარასთან დიდხანს ᲩᲐᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘᲗᲔᲑᲘ და თავს ხრიან პატივისცემის ნიშნად იმ მამაცი ადამიანის წინაშე, რომელსაც იგი ეცვა.

სტალინგრადის დამცველთა გმირობით აღტაცების ნიშნად ბევრი ხალხი უმზადებს საჩუქრებს გმირი ქალაქის მშრომელებს. თავდაცვის სახელმწიფო მუზეუმში მზრუნველობით დაცულია მრავალრაცხოვანი დოკუმენტები, დროშები წარწერით, ქანდაკებები, ალბომები, ფოტოსურათები, რომლებიც გამოგზავნილია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან სხვადასხვა ერის ადამიანებისაგან, რომლებიც მადლიერების გრძნობას გამოხატავენ ჩვენი ხალხისადმი გერმანელ ფაშისტებთან ბრძოლაში გამარჯვებისათვის.

მუზეუმში ინახება ფოლადის მახვილი ოქრის ტარით — ინგლისის მეფე გიორგი VI-ის საჩუქარი სტალინგრადის მოქალაქეებისადმი ამ ქალაქის კედლებთან გერმანელ ფაშიზტ დამპყრობთა განადგურების აღსანიშნავად. 1943 წლის 21 თებერვალს თავის დეპეშაში გიორგი VI წერდა: „ინგლისელი ხალხის სახელით, გამოვთქვამთ იმედს, რომ ეს მახვილი მოგვაგონებს გმირული სტალინგრადის დამცველთა უდრეკ სიმამაცეს და იქნება არა ბარტო ბრიტანეთის იმპერიის, არამედ მთელი ცივილიზებული კაცობრიობის აღტაცების სიმბოლო“.

ახლიოს აქვს წარწერა: „სტალინგრადის მოქალაქეებს — მაგართ, როგორც ფოლადს, მეფე გიორგი VI-გან ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲠᲝᲛᲐ აღფრთოვანების ᲜᲘᲨᲜᲘᲗ“.

ამაზე უინსტონ ჩერჩილი წერდა „...მეფის დაჯილდოთ გადაეცეს საპატიო მახვილი, რომელიც დამზადებული იყო მისი უდიდებულესობის სპეციალური დაკვეთით სტალინგრადის სახელოვანი დაცვის პატივსაცემად. დიდი დარბაზი სავსე იყო რუსი ოფიცრებით და ჯარისკაცებით... ეს დიდებული იარაღი მე გადავეცი მარშალ სტალინს, მან ფრიად შთამგონებელი ენერგიით მიიტანა ის ტუზებთან და აკოცა. შემდეგ მან მახვილი ვოროშილოვს გადასცა....“

ᲠᲘᲪᲮᲕᲜᲘ ჩერდებიან მნახველები ამ ეპიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის საპატიო სიგელთან. გამოხატავდა რა ამერიკის პროგრესულ მოქალაქეთა გრძნობებს, რუზველტი წერდა: „ამერიკის შეერთებული შტატების ხალხის სახელით ამ სიგელს გადავცემ ქალაქს, რათა აღვნიშნოთ ჩვენი აღტაცება მისი სახელოვანი დამცველებით... მათმა დიდებულმა გამარჯვებამ შეაჩერა შემოსევის ტალღა და ეს გამარჯვება გახდა აგრესიის ძალთა წინააღმდეგ მოკავშირე ერთა ომის მობრუნების პუნქტი“.

სამახსოვრო საჩუქრებს შორის არის ფარი — ეთიოპიის იმპერატორის პაილი სელასიეს საჩუქარი., ოქროს ფირფიტებზე, რომლებითაც დაფარულია ფარი, ამოვჩრილია წარწერა:

„დაუმორჩილებელ ქალაქს“.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ იყურობს ინგლისის ქალაქ კოვენტრის გერბი. ბევრი რამ აქვთ საერთო სტალინგრადსა და კოვენტრის. 1940 წლის 15 ნოემბრიან ღამით კოვენტრი სასტიკად დაბომბა ჰიტლერულმა ავიაციამ. უძველეული ქალაქი კულტურის მრავალსაუკუნოვანი ეგლეტით ხანგრძლივად აქციეს.

გერბის გვერდით დევს გამლილი სუფრა, რომელზეც ამოკვრულია ქ. კოვენტრის ქალთა 830 ხელმოწერა. სუფრას აქვს წარწერა:

„უმჯობესია მეირე დაბმარება, ვიდრე დიდი სიბრალული“. გვერდით დევს დიდებულ ყდაში ჩასმული „ლორდ ბაირონის პოეტური ნაწარმოებები“, ინგლისის მშრომელთა საჩუქარი.

„რომ არ ყოფილიყო სტალინგრადის გმირობა, არ იქნებოდა ჩვენი თავისუფლება“, — წერენ ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები მუზეუმის ჩანაწერების წიგნში. არის წარწერა: „სტალინგრადის ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ მოუტანეს თავისუფლება უზარელ ხალხს“.

5 წლის წინათ ვოლგასთან ბრძოლებში გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე, სადაც დასაფლავებული არიან ცარიცინის დაცვის დროს თვორგვარდიელთა ხელით დალუქული ვნირი მეომრები და სტალინგრადის ᲭᲣᲠᲩᲔᲑᲘ და მოედებმენ გერმანელთა ტყვეთა განგმირული საბრძოლო მებრძოლები, აინთო მარადიული ცეცხლი.

აწორედ აქედან წაიღეს ამას წინათ ჩირადდანი მამის ყორღანზე. მასობრივ მოსახსენებელ ადგილად გადაიქცა ეს ადგილი. აქ ყველაფერი ლაპარაკობს გმირთა სახელოვან ამბებზე და მათი ᲮᲚᲘᲗᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲩᲐᲣᲠᲩᲔᲑᲘᲗ სახელოვნ სიყვარულზე

გულითადი მადლობა

25 დეკემბერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებულს სსრ კავშირში ლე ჩანგს ეწვია საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის, ვიეტნამის მხარდაჭერის კომიტეტისა და საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის საზოგადოების წარმომადგენელთა დელეგაცია.

მეგობრული საუბრის დრო, რომელმაც გულითადობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა, დელეგაციის მეთაურმა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და კომიტეტის მდივანმა პროფესორმა ვ. ვ. კოვანოვმა ლე ჩანგს გაატანა მებრძოლ ვიეტნამთან სოლიდარობის ყველაზე შედეგები, რომელიც მშვიდობის მხიფლიო საბჭოს მოწოდებით მოგზაურ ვიეტნამის ეროვნული ფრონტის შეკრების 7 წლისთავთან დაკავშირებით.

დელეგაციის წევრებმა ილაპარაკეს ამ დიდ გაქანებაზე, რომელიც საბჭოთა კავშირში მიეცა კამპანიას ვიეტნამელი ხალხის მხარდასაჭერად ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში, მან მოიყვანეს საბჭოთა ადამიანების სოლიდარობის კონკრეტული ფაქტები. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ვიეტნამელ მეგობრებს აღუთქვეს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა ადამიანები კვლავაც ყოველნაირად დაუჭერენ მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით ლე ჩანგმა გულითადი მადლობა უთხრა საბჭოთა ხალხს ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ დამჭაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში ფასდაუდებელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ეს დახმარება და მხარდაჭერა, განაცხადა მან, ყველა ჩვენებანისათვის ამერიკელ აგრესორებზე ვიეტნამელი ხალხის საბოლოო გამარჯვების ძლიერი სტიმული და გარანტიაა. (საკდესი).

აფრიკა-აზიის სოლიდაროგის ორგანიზაციის 10 წლისთავის ღირსსანაული

26 დეკემბერს მოსკოვიდან კაიროში აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის დღესასწაულზე დასასწრებად გაემგზავრა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტისა და საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ი. ახუნდოვის მეთაურობით.

დელეგაციაში შედიან სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სპარლამენტო ჯგუფის წევრი ჩინგიზ აიტმატოვი, სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ს. მაიოროვი, სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და მდივანი ნ. ი. ბაზანოვი და სხვები. (საკდესი).

დაე მტკიცდებოდეს აზია-აფრიკის ქვეყნების ხალხთა სოლიდარობა

თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება

26 დეკემბერს ბიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება, რომელიც მიეძღვნა აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის ორგანიზაციის ათი წლისთავს.

კრება გახსნა აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა კ. წერეთელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კაიროში ათი წლის წინათ შექმნილი აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციამ ეროვნული განთავისუფლების ფართო ფრონტის განუყოფელი ნაწილი გახდა.

მომხსენებელმა, აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა ილაპარაკა აზია-აფრიკის სოლიდარობის მძლავრი მოძრაობის შესახებ. მისი ორგანიზაცია ამკამად აერთიანებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების 80 სოლიდარობის კომიტეტს, ორგანიზაციას და დემოკრატიულ პროგრესულ პარტიას, რომლებიც წარმოადგენენ ამ ქვეყნების სხვადასხვა საზრ. ,ოდერეტიკ ფენებს. ათი წლის განმავლობაში აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციამ აქტიური გავლენა მოახდინა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე, თანაშეფერეობის უმნიშვნელოვანეს ამებზე.

აზია-აფრიკის სოლიდარობის ორგანიზაცია თანამიმდევრულად იბრძვის ვიეტნამში ამერიკის იმპერიალისტების აგრესიის წინააღმდეგ ოთაბულ ქვეყნებში ასევეულს იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ. აზია-აფრიკის სოლიდარობის მოძრაობას ,ქმედით დახმარებას უწევს კოლონიალიზმის, რასიზმის, აპარტეიდის წინააღმდეგ, ორი დიდი კონტინენტის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ყველა მებრძოლს.

ვ. გულისაშვილმა მოხსენებაში გააშუქა აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის საქმიანობა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს საზოგადოებრიობას სოლიდარობის მოძრაობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება, მისი აქტივობისა და მებრძოლურობის ამაღლება, მისი ერთობისა და შეკავშირების განმტკიცება მიაჩნია დიდმნიშვნელოვან წვლილად ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ხალხთა მხარდაჭერის საქმეში.

საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ედენტმა თავის გამოსვლაში თქვა, რომ აზია-აფრიკის სოლიდარობის დამახასიათებელი თავისებურება ურღვევი კავშირი საერთაშორისო საერთო დემოკრატიულ მოძრაობასთან.

აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის რესპბლიკური კომიტეტის გამგეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატმა პ. ტენიშვილმა საწარმოს კოლექტივის სახელით რწმენა გამოთქვა, რომ აზია-აფრიკის სოლიდარობის მოძრაობა კვლავაც შეასრულებს თავის წმიდათა წმიდა მოვალეობას.

აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წევრმა პოეტმა ი. ნონეშვილმა და მწერალმა ვ. მაკვავრიანმა, რომლებმაც იმოგზაურეს აზიისა და აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში, დამსწრეთ გაუზიარეს მოგზაურობის შთაბეჭდილებანი და მოუწოდეს კიდევ უფრო განავითარონ და განმტკიცონ საბჭოთა საზოგადოებრიობის ურთიერთობა და კონტაქტები თავისუფლებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლ აზიისა და აფრიკის მოძმე ორგანიზაციებთან.

იმის შესახებ, თუ რა წვლილი შეიქნა საბჭოთა ახალგაზრდობის იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო საქმეში, ილაპარაკა საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა მ. ლოლაძემ.

კრების მონაწილეებმა კაიროში აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გაკეთებული მისალოცი დეპეშა. (საქდესი).

ᲐᲓᲘᲡ-ᲐᲑᲔᲑᲘᲡ ცენტრში შენდება მუსიკალური სკოლა — ბულგარეთის მთავრობის საჩუქარი ეთიოპიისადმი. სურათზე: ბულგარელი სპეციალისტები და ადგილობრივი ინჟინრები სამშენებლო მოედანზე.

ფოტო ბტა-საკდესისა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში აკლიათ ექიმები

ბონი, 26 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იგრძნობა სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა. როგორც ახლახან გამოქვეყნებული ფედერალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები მოწმობენ, დასავლეთ გერმანიაში 1966 წლის დამლევისათვის 10 ათას მცხოვრებზე მოდიოდა მხოლოდ 14 ექიმი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთ-გერმანელ ექიმთა მეტი ნაწილი (57 პროცენტი) მუშაობს არა საავადმყოფოებში, არამედ ეწევა კერძო პრაქტიკას. მოსახლეობის მცირეხელფასიან თენებს ოჯახურად არ შეუძლიათ მიმართონ ექიმს დახმარებისათვის მკურნალობის დიდი გასაგრძელების გამო, ახალი წლიდან აქ გაიზრდება აგრეთვე შენატანები საავადმყოფო სალაროებში, რომელთა საშუალებით მშრომელები იხდიან საფასურს სამედიცინო დახმარებისათვის, დაგიდდება რეცეპტების ფასი, რასაც ექიმები უწერენ ავადმყოფებს (ამაში არ შედის თვით წამლების ღირებულება).

დასავლეთ გერმანიაში 10 ათას მცხოვრებზე მოდის მხოლოდ ერთი კბილის ექიმი. ამასთან მათი 97 პროცენტი კერძო პრაქტიკას ეწევა.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იგრძნობა მედიცინის დების მწვავე ნაკლებობაც. გასული წლის დამლევს მოსახლეობის 10 ათას კაცზე მოდიოდა დახლოებით 27 მედდა და სხვა მომსახურე პერსონალი.

სასოწარკვეთა და იმედგაცრუება

განვითარების მაღალი ტემპი

სოფია, 25 დეკემბერი. (საკდესი). შრომის ნაყოფიერება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რენტაბელობა ოფლი ტემპით იზრდება ბულგარეთში, განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა. როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, იგი გამოვიდა სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს პლენუმზე, რომელიც დღეს გაიხსნა.

ამბ. ჟივკოვმა აღნიშნა, რომ სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური მატება ამ უკანასკნელ წლებში საშუალოდ 12 პროცენტს შეადგენს, რაც აღემატება ბულგარეთის კომპარტიის IX ყრილობის საფირეტივო მაჩვენებლებს.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მან ხაზი გაუსვა ბულგარეთის მისწრაფებას ახორციელებდეს მშვიდობის პოლიტიკას, ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის პოლიტიკას ყველა სახელმწიფოსთან, განურჩევლად საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ვაშინგტონი, 26 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. პეტრუსენკო იუწყება: ვერც ლამაზად მორთული საშობაო ნაძვისხეები, ვერც ქუჩების სადღესასწაულო ელვერი ვერ ფარავენ სწრაფი ტემპით იზრდება ბულგარეთში, განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა. როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, იგი გამოვიდა სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს პლენუმზე, რომელიც დღეს გაიხსნა.

ამბ. ჟივკოვმა აღნიშნა, რომ სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური მატება ამ უკანასკნელ წლებში საშუალოდ 12 პროცენტს შეადგენს, რაც აღემატება ბულგარეთის კომპარტიის IX ყრილობის საფირეტივო მაჩვენებლებს.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, მან ხაზი გაუსვა ბულგარეთის მისწრაფებას ახორციელებდეს მშვიდობის პოლიტიკას, ურთიერთხელსაყარელი ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის პოლიტიკას ყველა სახელმწიფოსთან, განურჩევლად საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილებისა.

ᲒᲐᲜᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 25 დეკემბერი. (საკდესი). შრომის ნაყოფიერება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რენტაბელობა ოფლი ტემპით იზრდება ბულგარეთში, განაცხადა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ტოდორ ჟივკოვმა. როგორც ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, იგი გამოვიდა სამამულო ფრონტის ეროვნული საბჭოს პლენუმზე, რომელიც საბჭოთა კავშირში მიეცა კამპანიას ვიეტნამელი ხალხის მხარდასაჭერად ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ სამართლიან ბრძოლაში, მან მოიყვანეს საბჭოთა ადამიანების სოლიდარობის კონკრეტული ფაქტები. საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ვიეტნამელ მეგობრებს აღუთქვეს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა ადამიანები კვლავაც ყოველნაირად დაუჭერენ მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ხალხის სახელით ლე ჩანგმა გულითადი მადლობა უთხრა საბჭოთა, ხალხს ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ დამჭაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში ფასდაუდებელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

ეს დახმარება და მხარდაჭერა, განაცხადა მან, ყველა ჩვენებანისათვის ამერიკელ აგრესორებზე ვიეტნამელი ხალხის საბოლოო გამარჯვების ძლიერი სტიმული და გარანტიაა. (საკდესი).

ᲒᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲢᲐᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ

ᲯᲐᲜᲒᲝᲜᲘ, 26 დეკემბერი. (საკდესი). დეკემბრის შუა რიცხვებში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა, რომლებიც მოქმედებენ ტაინინის პროვინციაში, საიგონიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით, მთელი რიგი წარმატებითი ოპერაციები განახორციელეს ამერიკისა და საიგონის ჯარების წინააღმდეგ. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სააგენტო „ვიეთნამის უფლებას".

14 დეკემბერს პატრიზანებმა რამდენჯერმე შეუტიეს მოწინააღმდეგის პოზიციებს ტადატის რაიონში. ამ ბრძოლებში პარტიზანებმა ამერიკის ჯარებს დაუხოცეს და დაუჭრეს 200-ზე მეტი ჯარისკაცი, მოსპეს მოწინააღმდეგის 6 ჯავშანტრანსპორტიორი და ჩამოაგდეს 2 ვერტმფრინავი, ამავე დღეს ამ პროვინციის მეორე რაიონში, კატუმის ახლოს, პატრიოტებმა გაანადგურეს ამერიკელთა ორი ქვეითი ასეული.

11 დეკემბერს პატრიზანებმა შეუტიეს ამერიკის ჯარების საარტილერიო პოზიციებს და გააფთრებულ ბრძოლაში მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაწვეს 11 ჯავშანტრანსპორტიორი, ტაინინის პროვინციის სხვა რაიონებში 8-დან 20 დეკემბრამდე სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა შეუტიეს მოწინააღმდეგს და დაუხოცეს 460-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, ჩამოაგდეს 16 ამერიკელი ვერტმფრინავი.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲒᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 26 დეკემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდლობამ უბრძანა თავის ჯარებს სამხრეთ ვიეტნამში განაახლონ საომარი მოქმედება სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ საშობაო დღესასწაულის გამო 24 საათის დაზავების შემდეგ. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო საიგონიდან იუწყება, ამერიკელებმა და მათმა მოკავშირეებმა გადაწყვიტეს „უფლებელყონ" სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წინადადება იმის შესახებ, რომ დაზავება გაგრძელებულიყო სამ დღე-ღამეს. შარშან ასეთივე დაზავება შობის გამო 48 საათს გაგრძელდა.

ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲙᲐᲚᲙᲣᲢᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ Ი. ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ

ᲓᲔᲚᲘ, 25 დეკემბერი. (საკდესი). როგორც დელის გაზეთები იუწყებიან, გუშინ კალკუტის მახლობლად მანტინიკეტანის უნივერსიტეტში დიპლომების გადაცემის ცერემონიაზე, რომელსაც ინდოეთის პრემიერ მინისტრი ინდირა განდი ესწრებოდა, ტრიბუნის მახლობლად აფეთქდა თვითნაკეთი ბომბი. ინდირა განდი არ დაზარალებულა. დამსწრეთაგან რვეხი დაშავდა.

ᲣᲛᲣᲨᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲑᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 26 დეკემბერი. (საკდესი). 214.573 უმუშევარი, აქედან 79.378 მთლიანად უმუშევარი და 135.195 ნაწილობრივ უმუშევარი, ასეთია საშუალო ოფიციალური მონაცემები 10-16 დეკემბრისათვის. წინა კვირასთან შედარებით ბელგიაში მთლიანად უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 2971 კაცით, ხოლო ნაწილობრივ უმუშევართა რიცხვი — 86.886 კაცით. როგორც გაზეთი „ჰერალი" წერს, რომელსაც მოყავს ეს მონაცემები, მთლიანად უმუშევართა რიცხვის ზრდა სამშენებლო, მეტალურგიული და კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა არასრულმა დატვირთვამ გამოიწვია.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔᲡ

ᲓᲔᲚᲘ, 25 დეკემბერი. (საკდესი). „ეკონომისტ" ინდიის ეროვნული ეკონომიკის ინსტიტუტის ინფორმაციით, ინდოეთის ეროვნული ეკონომიკა ,ოფეტ ,ოფეტ ,ოფეტ

ჩვენს კალამ-ბაკალში

გვაბეჭდინებენ „კომუნისტისა“ და საქდენის კორესპონდენტები

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲙᲘᲓᲔᲕᲘ რამდენიმე დღე, და შემობრძანდება თოვლიან-ყინულიანი ახალი წელი. მას მოაქვს ახალი იმედები, ოცნებანი, სურვილები, იწმენა და გამარკვევები პატარა მოქალაქეებისათვის. ახალი წლის წინადღეებში — 29 დეკემბერს შეწყდება სასკოლო ზარი და 30 დეკემბრიდან დაიწყება ტრადიციული საზამთრო არდადეგები.

ბევრგან რესპუბლიკაში, მათ შორის მაღალმთიან კუროორტებზე, სადაც ბევრია მზე და თოვლი — ბაკურიანში, ზაგარში, კოჯორში, წყნეთში, და სხვაგან მოეწყობა პიონერთა გამაჯანსაღებელი ბანაკები, სადაც არდადეგების დღეებს 1.452 ბავშვი გაატარებს. თბილისის პიონერთა სასახლე აწყობს მოძრავ პიონერთა ბანაკს. ბანაკმატარებელი გავა თბილისის სადგურიდან, იგი გაემართება მარშრუტით ქუთაისი-ენგურჰესი-ზუგდიდი - სოხუმი-ბათუმი-თბილისი.

13 ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ამას წინათ აქ, ავტოქარხნისა და გორის ქუჩების გადაკვეთაზე გაიხსნა პირველი კლასის ორსართულიანი რესტორანი „სალხინო“, რომელიც ერთდროულად მოემსახურება 275 კაცს.

ქუთაისის სასადილოების ტრესტმა ახალი მუშათა სასადილოები, პავილიონები, სასაუზმეები და ბუფეტები გახსნა აბრეშუმკომბინატის, „ქუთაითარის“ მაღაროთა სამმართველოს, № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორის, საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნების ტერიტორიებზე.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის კოლეგია მხურვალე მადლობას უძღვნის საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა კოლექტივებს, ჯარის ნაწილებს, აგრეთვე ცალკეულ პირებს, რომლებმაც მოგვიოცეს და ყოველივე საუკეთესო გვისურვეს სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოთა 50 წლისთვის დღესასწაულობასთან დაკავშირებით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲘᲜᲐᲚᲠᲔᲑᲘ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. (საკ. კორ.). ტურისტებანი — გუშინდელი ეს მიყრუებული უბანი დღეს ახალმოსახლეთა ხმაურით აივსო. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების გვერდა, აქ სულ მოკლე ხანში წამოიმართა სამედიცინო ქალაქის, ტურისტული ბაზისა და სხვა სამოქალაქო მშენებლობათა კორპუსები. ამ დღეებში კი აქ ახალმოსახლეობა ორას ოცმა სტუდენტმა იზეიმა. აქვე მოკლე ხანში დაიწყება მშენებლობა და 1970 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სასწავლო კორპუსი. ინდივიდუალური პროექტით ნაგები ინსტიტუტის ახალი შენობა მთლიანად უზრუნველყოფს ერთიანცვლიან სწავლებაზე გადასვლას.

ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲐᲜᲓᲣᲠᲘᲗ ᲡᲐᲥᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘ

ᲛᲝᲠᲩᲣᲚᲘ სინგაპურიდან წერილი მოვიდა. ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი ილია ზაქაიძე იწერება საბჭოთა მსახიობების დიდი ჯგუფის საზღვარგარეთ გასტროლების შესახებ. ჯგუფში არიან რუსეთის სფსრ, უკრაინის, ბელორუსიის, საქართველოს, ლატვიის, ტაჯიკეთისა და ბურიატეთის ასსრ მუსიკოსები, მომღერლები, აგრეთვე ცირკის ოსტატები.

— სინგაპური, — წერს ილია, — კარგი საზღვაო ქალაქია, წაგავს ბათუმს, ლამაზია თავისი მუნებით, გარეთ ცხელა, მაგრამ ხშირ წვიმებს სიგრილე მოაქვს. ჩვენს კონცერტებს დიდი წარმატება აქვს. პირველი კონცერტი სინგაპურში ჩავატარეთ. ათი დღის შემდეგ წავედით მალაზიაში, იქიდან კი — ნეპალში, ერთი თვე დავრჩებით დელიში და ინდოეთის სხვა ქალაქებში, შემდეგ გავფრინდებით ბირმაში...

გვასაიმოვნა მეგობრის წერილმა. რამდენიმე წლის წინათ ილია დუშეთის რაიონული გაზეთის სტამბის მუშა იყო, ჩვენს თვალწინ დავაკაცდა და თავისი შესანიშნავი ხმით და ნიჭით მუსიკის ფართო სარბიელზე გაიკაფა გზა. ახლა ვის არ მოუსმენია ილია ზაქაიძის შესრულებით „ბალადა ვეფხისა და მოყმისა“, „სიმღერა საქშობლოზე“, „სალაღობო“, „მწყემსური“, „სიმღერა ვაჟაზე“ და სხვ.

საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ილია ზაქაიძეს იცნობენ საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში, იგი რამდენჯერმე გამოსულა კრემლის თეატრშიც. სასიხარულოა, მისი წარმატება ხმა და ქართული ფანდურის გულშიჩამწვდომი მელოდიები ჩვენი ქვეყნის საზღვრებს რომ გასცდა და ინდოელებმა თუ ბირმელები ტაკბებიან ქართული სიმღერებით, რომლებსაც დიდი გატაცებით და ოსტატობით ასრულებს ილია ზაქაიძე.

Ა. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ.

ᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲓᲘᲜᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲗᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘ

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲐ, 26 დეკემბერი. (საქდესი). მდინარის კალმახი დღემდე ლამის ერთადერთი ბინადარი იყო აფხაზეთის მთის მდინარეებისა. ახლა იგი შეეგწოვა გუშინდლიდან მთის მდინარეების ბზიფის, მჩიშტის, ხიფსტის, ფსირცხის და ცივ წყალში და ცისფერ ტბაში ახალი ათონის წყალგარდნილთან დასახლდა დაწინწკლული კალმახი. ამ შესანიშნავი თევზის დაახლოებით ნახევარი მილიონი ლიფსიტა გამოიყვანეს შავწყალას კალმახის მეურნეობის აუზებში.

ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘ. ფოტოტიპი ა. ჩარკვიანისა.

ᲓᲘᲓᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲐᲣᲒᲚᲘᲙᲐᲪᲘᲐ

ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ სახლ-მუზეუმის მდიდარ ფონდებს შემატა დიდი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის პირადი არქივის 31 ტეჩპონატი, რომლებიც დაცული იყო კომპოზიტორის ძმის ნიკოლოზის ოჯახში და საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ფალიაშვილმა მუზეუმს გადასცა მიკვლეული მასალებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია ორმა დოკუმენტმა, რომლებსაც მკითხველებს მცირედი შემოკლებით ვთავაზობთ. ხსენებულ „მოსსენებითი ბარათიდან“ ნათლად ჩანს, რა თავგამოდებით იბრძოდა ზაქარია ფალიაშვილი საქართველოში მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის.

Ზ. ᲩᲘᲜᲩᲐᲚᲐᲫᲔ,
ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორი.

საქართველოს კომუნისტური რი პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 20 იანვრის № 90/230966 მიწერილობაში ვკითხულობთ:

„მუსიკალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ამხ. ზ. ფალიაშვილს.

ს.კ.პ. (ბ) კულტპროპი გთხოვთ წარმოადგინოთ ცეკას კულტპროპში მოკლე ინფორმაციული ხასიათის მასალები მუსიკალური ხელოვნების მდგომარეობის შესახებ საქართველოში; მუსიკალური ხელოვნება საქართველოში მეფის დროს (სასწავლებლები, მოსწავლეთა რაოდენობა, მასწავლებლობა, პროფესორები. ქართული სახალხო მუსიკის შესწავლის საქმე).

იგივე ცნობები მენშევიკების დროისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში (სასწავლებლების რაოდენობა უკანასკნელ წელს, მოსწავლეთა რაოდენობა, სასწავლებლების ტიპი — დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი, ძველი და ახალი კადრების რაოდენობა, მიღწევანი ქართული სახალხო მუსიკისა და სიმღერების დამუშავების საქმეში“.

ზაქარია ფალიაშვილს დავალება პირნათლად შეუსრულებია და 1932 წლის 26 იანვრისათვის წარუდგენია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კულტპროპის განყოფილების გამგის სახელზე მოხსენებითი ბარათი. აი ისაც:

„ა. წ. თქვენი 20 იანვრის მიმართვის შესაბამისად, საქართველოში მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმის შესახებ მოგახსენებთ:

„ა. წ. თქვენი 20 იანვრის მიმართვის შესაბამისად, საქართველოში მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმის შესახებ მოგახსენებთ:

მეფის დროს საქართველოში მუსიკალური განვითარების საქმის ცენტრად ითვლებოდა მხოლოდ თბილისი. პროვინციები კი სრულიად მივიწყებული იყო. ამიერ და ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი როსტოვამდე დაახლოებით 1900 წლამდე არ არსებობდა არც ერთი სამუსიკო სასწავლებელი, — თუ მხედველობაში არ მივიღებთ კავკაზს, ბაქოს, ერევანს და სხვ., სადაც არსებობდნენ სამუსიკო კურსები, ამჯოგან მომეტებული ნაწილი კერძო პირთა ინიციატივით მოქმედებდა. ამ მიზეზის გამო მთელ კავკასიას მხოლოდ თბილისი უწევდა მომსახურებას.

იმ დროს თბილისში არსებობდა:

ყოფილი საიმპერატორო რუსეთის სამუსიკო საზოგადოების მუსიკალური სასწავლებელი (ახლანდელი მუსიკალური ინსტიტუტი), რომელიც არსებობდა 1917 წლამდე და ინახებოდა დგებილობრივი საზოგადოების საზეგარო თანხის გადასახადით, კერძო შემოწირულობით, მოსწავლეთა სწავლის გადასახადით და პეტერბურგიდან დირიქციის მიერ ყოველწლიურად 5.000 მანეთის (სუბსიდიის სახით) დახმარებით. მოწაფეთა რიცხვი დაახლოებით 450-მდე იყო. მასწავლებელთა შემადგენლობის მეტ ნაწილს ჰქონდა უმაღლესი სწავლა-განათლება.

1917 წელს კი ეს სასწავლებელი გადახალისებულ იქნა უმაღლეს სასწავლებლად — კონსერვატორიად. აქ მოწაფეთა რიცხვი 700-მდე ავიდა. პროფესორთა ძალებიც შესამჩნევად გადიდდა;

თბილისის ქართული „ფილარმონიული საზოგადოების“ სამუსიკო სკოლა (შექმნილი 1908 წელს), რომელმაც 1923 წლამდე იარსება, ინახებოდა საზეგარო გადასახადისა, მოსწავლეთა სწავლის ფულის გადასახადისა და თავადაზნაურთა ყოველწლიურად 500-1000 მან. დახმარებით. აქ 200-ტერ-დავიდოვას საფორტეპიანო კერძო კურსები 150 მოწაფის სწავლის გადასახადით არსებობდა;

პროფ. რიადნოვის კერძო ვოკალური სტუდია (სადაც 60-მდე მოწაფე სწავლობდა), რომელსაც რიადნოვი ინახავდა საკუთარ ხარჯზე.

ზემოთ დასახელებული ექვსი სასწავლებლიდან ქართული მუსიკალური განათლების საქმეს პირნათლად ემსახურებოდა მხოლოდ თბილისის ქართული „ფილარმონიული საზოგადოება“ სამი სკოლით. მან თავისი არსებობის პერიოდში შექმნა: რეგულარულად მოქმედი ქართველ მომღერალთა გუნდი, რომელიც მონაწილეობდა საქველმოქმედო სხვადასხვა კონცერტებში მუშათა უბნებში, სახალხო სახლში და სხვ... აგრეთვე დგამდა ქართულ ენაზე ნათარგმნ ოპერებს, გაზავნიდა თავისი ხარჯით საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სპეციალისტებს ფონოგრაფზე ქართული ხალხური სიმღერების ჩასაწერად, მათ შესაგროვებლად და ამ მასალის გამოსაცემად. საზოგადოებას გამოცემული აქვს: სამი კრებული ქართული სიმღერებისა, ბალი რიგი რომანსებისა და საგუნდო სიმღერებისა. ხსენებულ საზოგადოებას დიდი ღვაწლი მიუძღვის ამ საქმის განვითარებაში. სხვა სასწავლებლები, სამწუხაროდ, სრულ უმოქმედობას იჩენდნენ ამ მხრივ. ზოგიერთი სასწავლებლის დირექცია ხელსაც კი უშლიდა საშვილიშვილო საქმის წინწაწევას, მაშინ როდესაც წესდების ძალით მოვალენი იყვნენ ადგილობრივი მუსიკის განვითარებას გაძღოლოდნენ. მენშევიკების დროს თვალსაჩინო ცვლილება ამ დარგში არ მომხდარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ კონსერვატორია გამოცხადდა ქართულ დაწესებულებად და იმ ხანად დაიდგა ქართული ოპერები „აბესალომ და ეთერი“ და „ზოთა რუსთაველი“.

საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებანი მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში 1922-23 წლიდან დაწყებული თვალსაჩინოდ იზრდება. ყოფილი „ფილარმონიული საზოგადოების“ სამუსიკო სკოლა გადაკეთებულია II კონსერვატორიად, ორგანულად უერთდება პირველ კონსერვატორიას და მოწაფეთა და მასწავლებელთა რიცხვიც ერთიორად მატულობს (1100 კაცამდე). მოწაფეული იყვნენ თვალსაჩინო ძალები პროფესორებისა. კონსერვატორიას მიეცა ქართული პროფესიონალური სახე. კონსერვატორიის სასწავლო პროგრამებისა და გეგმების ნაწილში მოხდა სათანადო ცვლილებანი. ყველასათვის სავალდებულო გახდა ქართული ენის შესწავლა. აგრეთვე პროგრამებში გამოხატულება ჰპოვა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების შესწავლის საკითხმა, რომელსაც რევოლუციამდე ადგილი არ ჰქონია.

უკანასკნელ წლებში და დღემდე მარტო თბილისში მთავრობის ბიუჯეტზე ითვლება: სამუსიკო ინსტიტუტი („ვუზი“), ორი ტექნიკუმი (საშუალო), მე-3 ტექნიკუმი (საშუალო), ორი მუშფაკი, ხუთი დაწყებითი მუსიკალური სკოლა.

ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲡ-ᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწერა:

ზ. ფალიაშვილის 2 ქართული ოპერა („დაისი“ და „ლტაკარა“), კანტატა ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე, ქართული „სიუიტა“ და მთელი რიგი ქართული რომანსები: დ. არაყიშვილის კომიკური ოპერა „სიცოცხლე სიხარულია“ და მრავალი რომანსები, ვ. დოლიძის ოპერა „ცისანა“ და რომანსები, კ. მელიქნეთ-უხუცესის ოპერა „ამირანი“.

ახალგაზრდა კომპოზიტორების გ. კილაძის: რამდენიმე სურათი დიდი ორკესტრისა და გუნდისათვის, ქართულ დრამებზე შესრულებული მუსიკა და მცირეფორმიანი ნაწარმოებები რევოლუციური ხასიათისა, შ. მშველიძის „შრომის სიმფონია“ დიდი ორკესტრისათვის, თანამედროვე ქართული რომანსები და მასიური სიმღერები, გ. კოკელაძის მცირეფორმიანი ქართული რევოლუციური ნაწარმოებები, შ. აზმაიფარაშვილის სიმფონიური პოემა „21 წელი“, სიმებიანი კვარტეტი, რევოლუციური სიმღერები და რომანსები, ლ. ფალიაშვილის ოპერა „ვეფხისტყაოსანი“, ი. ტუსკიამ, შ. თაქთაქიშვილმა და სხვებმა დაწერეს მცირეფორმიანი ნაწარმოებები.

საგულისხმოა, რომ ქუთაისში, ბათუმში შექმნილია მუსიკალური ტექნიკუმები, ხოლო ოზურგეთში, ახალ სენაკში, ზუგდიდში, სამტრედიაში, სიღნაღში და თელავში მოქმედებენ სამუსიკო სასწავლებლები.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

რაც შეეხება ძველ კადრებს, სულ რაღაც 3-4 ადამიანი იყო სპეციალისტი, მათ რიცხვში მეცალა კი მარტო ჩვენს სამუსიკო ინსტიტუტს ჰყავს მომზადებული და საქმეში ჩაბმულია 30 სპეციალისტი, რომლებიც, თუ ასეთი ენერგიით განაგრძობენ შრომას, დარწმუნებული ვარ თვალსაჩინო ადგილს დიკავებენ ჩვენს მუსიკალურ ფრონტზე.

უახლოეს, გადაუდებელ და განსაზორციელებელ ამოცანად მიმაჩნია:

„მუსიკალურ ინსტიტუტთან დაარსდეს ქართული ხალხური შემოქმედების კათედრა მისი შესწავლა-განვითარებისათვის, სადაც ძველი თაობის მუსიკოსებთან ერთად უნდა იმოღვაწონ ახალგაზრდა მუსიკოსებმა, რათა გაერთიანებული ძალით შეისწავლონ და თავი მოუყარონ ერის საუნჯეს.

ჩვენმა აკადემიურმა ოპერის თეატრმა მეტი ყურადღება მიაქციოს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების დადგმის საქმეს. ეს ნაწარმოებები უნდა განხორციელდეს სცენაზე ისეთივე მაღალმატვრული გემოვნებით, როგორიც არაქართველ კომპოზიტორთა ქმნილებები. ამ უკანასკნელთა ოპერების დადგმების განახლება ხდება ორ-სამ წელიწადში. ჩემი აზრით, უპირველესად უნდა ავამაღლოთ ქართული ოპერების დადგმის მხატვრული დონე. ეს იქნება თვალსაჩინო წვლილი ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებისათვის და ამასთან ერთად მსმენელთა საზოგადოებრიობისადმი დიდი ყურადღება.

მე ვფიქრობ ნაწილობრივ მაინც შეიძლეი თქვენი დავალების შესრულება, რის შემდეგ უფრო გაადვილდება უახლოესი ამოცანების დასახვა და მათზე ლაპარაკი.

ᲖᲐᲥ. ᲤᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, 26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1932 Წ“.

ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ საკმაო დრომ განვლო, აღსრულდა დიდი კომპოზიტორის სურვილი, კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად საქართველოში მუსიკალური კულტურის განვითარების საქმემ დიდ წარმატებებს მიაღწია. დღეს ქართული მუსიკა ეღირს მსოფლიოს თითქმის ყოველ კუთხეში.

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ“ № 12

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ მორიგი, მეთორმეტე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია: საინტერესო შეკიბრების მედროშენი; **ი. ბალანჩივაძე** — დიდი ოქტომბრის რევოლუციისა და აგრარული საკითხის გადაჭრა, **ვ. გორგილაძე** — ავამაღლოთ სოფლის მშრომელთა მოხმარების დონე, **პ. წერეთელი** — მეცხოველეობაში შრომის ტექნიკური ნორმირების ზოგიერთი საკითხი, **ო. ხუციშვილი** — ამმეტელი გმირი, **შ. ქუტიძე** — სრულად გამოვიყენოთ შრომითი რესურსები, **ჯ. შათირიშვილი** — მეცხვარეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, **ზ. ჩანტლაძე** — სკოლმეურნეთ მეცეტრესობის სპეციალიზაცია ეფექტურია, **დ. ანდღულაძე** — ფაროთოდ დაენერგოთ ფუტკრით დამტვერვა, **შ. ჯავახაძე** — ქვილაშორის ჩირაღდნები; **ლ. ჩხეიკვაძე** — ნიადაგის ღრმად დამუშავება ვენახში, **ა. მიქლაძე**, **ვ. კობეშავიძე** — ახალი კომბინირებული სასუქი და სამინდის მბასალელი, **ნ. აბელაშვილი** — ელექტროფიზიკური მეთოდები მოსავლიანობისა.

„ᲛᲔᲗᲝᲓᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲚᲔᲢᲔᲜᲘ“ 8-9

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის „მეთოდური ბიულეტენი“ № 8-9. მასში მოთავსებულია შემდეგი განყოფილებები: „ფორკლები ლენინური გეგრდიის ჯარისკაცთა ცხოვრებიდან“, „ციფრები და ფაქტები“, „ლაპარაკობენ ჩვენი მეგობრები“, „პარტიული სწავლების პრაქტიკა“, „პოლიტინფორმატორის ყუთი“, „ინფორმაცია“.

სანინერესო მასალათა შორის არის შ. ესიტაშვილის „წარსული მომავლისა“, **ვ. ჟურცხალიას** „ეიტრანი პროპაგანდისტი“, **გ. პაპავას** „შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან“, **შ. კიზირიას** „დამზადებულია საბჭოთა საქართველოში“, **პ. სვეჩნიკოვის** „პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა პარტიული განათლების სისტემაში“, **კ. ლომაძის** „მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის“, **ი. კოკანის** „საზღვაო ნავსადგურის პოლიტგანათლების კაბინეტის მუშაობა“, **ვ. ისკანიას** „მეცადინეობა ტელეკრანთან“.

„მეთოდური ბიულეტენი“, რომელიც დასტრატეგიულის კვარტალ, მიეძღვნა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲜᲢᲚ ᲐᲜᲢᲚᲡᲝᲜᲘ

ᲩᲘᲚᲘᲐᲑᲘᲜᲘᲡᲙᲘᲗᲘ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის უძველესს ჩქაროსნულ მოცეკვავეთა ასპარეზობა ი. მელნიკოვის სახელობის პრიზზე. ქალთა შეჯვედრების შემდეგ ბრძოლაში ბაკენენ ვაეკი.

პირველი დღის შედეგებით დაწინაურდა **ა. ანტანსონი** — 88,216 ქულა. მეორე ადგილზე იყო **ვ. კაპლანი.** — 88,733 ქულა, მესამეზე — **ე. მატუსევიჩი** —89,100 ქულა.

გუშინ გაიმართა გადამწყვეტი შეჯვედრები 1.500 და 5.000 მეტრზე რბოლაში. მცირე მრავალქიდში საერთო წარმატება ხვდა ესტონელ სპორტსმენს **ანტს ანტანსონს** — 178,793 ქულა. მეორე იყო **ვ. კაპლანი,** მესამე — **ე. მატუსევიჩი.**

ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲠᲘᲚᲝᲕᲔᲑᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ლიგის კალათბურთელ ვაჟთა 12 უძლიერესი კოლექტივი განაგრძობს ბრძოლას სსრ კავშირის ჩემპიონობისათვის. უკანასკნელმა შეხვედრებმა თვალსაჩინო ცვლილებები შეიტანა სატურნირო ცხრილში, ლიდერთა ჯგუფში მოხდა გადაჯგუფება. მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარეობა თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდებმა. დინამოელებს ლიდერთა ჯგუფში ეხედავთ, ხოლო თბილისის „ბურევესტნიკი“ ბაქოელ თანაკლუბელებთან გამარჯვების (61:60) შემდეგ მათ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება.

გუშინდლამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით ლიდერთა ჯგუფში შედიოდა ექვსი გუნდი. ესენი არიან — კაუნასის „ჟალგირისი“, თბილისის „დინამო“, კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, კიევის „სტროტელი“, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი და ლენინგრადის „სპარტაკი“, რომლებსაც ექვს-ექვსი ქულა აქვთ. ხუთ-ხუთი ქულა შეაგროვეს ტარტუს „კალევამ“, თბილისის „ბურევესტნიკმა“ და რიგის ვეფ-მა.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

⊙ **ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘᲡ** კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი სსრ კავშირის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ შეხვდა მოსკოვის „ბურევესტნიკს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 93:67.

⊙ **ᲙᲐᲖᲐᲜᲚᲘᲜᲘᲡ** დამთავრდა ზამთრის ორკიდელთა საერთაშორისო ასპარეზობა, წარმატება ხვდა ლენინგრადელ არმიელ სპორტსმენს ე. ლოგინოვს, რომელმაც 463,8 ქულა შეაგროვა და პირველი ადგილი დიაკავა.

⊙ **ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ** 1967 წლის საუკეთესო სპორტსმენად ვაჟთა შორის აღიარებულ იქნა კალათბურთელი **ივო დანეუ,** იაპონიისა — ჩქაროსნული მოციგურავე **კეიტი სუჟუკი,** ავსტრიისა — ფიგურული მოციგურავე **ემერიხ დანერი.**

Ш. ᲥᲐᲠᲨᲘᲫᲔ



ᲑᲐᲠᲐᲓᲘᲒᲔᲚᲐ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის წევრი და კვების მრეწველობის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი შოთა დავითის-ძე ქარშიძე.

შ. ქარშიძე დაიბადა 1910 წელს მოსამსახურის ოჯახში. 1928 წელს შევიდა და 1932 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ-ქიმიკოს-ტექნოლოგის წოდება. იგი მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოზე: ეთერზეთოვანი ფაბრიკის მთავარ ინჟინრად, „საქეთრზეთის“ მთავარ ინჟინრად, „საქხორცმრეწვის“ ტრესტის სამართველოს უფროსის მოადგილედ და მთავარ ინჟინრად, კომბინატ „საქნახშირის“ განყოფილების უფროსად, თბილისის საქალაქო საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების სამრეწველო კომბინატის წარმოების უფროსად, „საქმთავარგაზის“ საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსად, ხოლო 1962 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის კვების მრეწველობის განყოფილების უფროსი.

შ. ქარშიძე იყო სკკპ წევრი 1944 წლიდან. მონაწილეობდა სამამულო ომში, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მრავალი მედლით.

კეთილსინდისიერი, თავმდაბალი, შრომისმოყვარე — ასეთი იყო შ. ქარშიძე, იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატში, ისე იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც კი მას უმუშავნია. მისი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲩᲕᲔᲜ ᲕᲘᲪᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜᲔᲑᲘ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — კინონარკვევები, 11.40 — მხატვრული თოლმი „სიყვარულის დღესასწაულები“ (რუმინეთ-საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები). 17.25 — გადაცემათა პროგრამა. 17.30 — ოქტომბრელთათვის — „ჩხარიდელას სახელოსნო“. 18.10 — მოსწავლეთათვის — „ვმღერით ერთად ვიმღერეთ!“. 18.30 — საკავშირო შეკიბრება თარიალობაში მაღხან ადიბილის სახელობის თასზე (რეპორტაჟი ქირვეს სახელობის პარკის სპორტდარბაზიდან). 19.00 — კინონარკვევი. 19.20 — კონცერტი. 20.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 20.20 — სსსმართლო ქრონიკა — საქართველოს ტელევიზიის დადგმა. 22.05 — გადაცემათა პროგრამა 28 დეკემბრისათვის. 22.10 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური თოლმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ 1955 წელი (გადმოცემა მოსკოვიდან). 23.05 — ეკრანზეა მოსკოვის მეორე საკავშირო სატელევიზიო თეატრიდან ლიერეატი თოლმები — „ლენინგრადის ბალეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ 12 საათიდან და 17 საათსა და 45 წუთიდან.

28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — კინონარკვევი, 11.40 — მხატვრული თოლმი „ერთ მშვენიერ დღეს“. 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — მოსწავლეთათვის — „ვიმეორეთ დედამიწის გარშემო“. 18.40 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი თოლმი. 19.05 — „განცხადებები, 19.10 — საქართველოზეო დადგმა „ინტერვიუ“ (საქართველოს ტელევიზიის ნაწარმოები). 19.30 — „მუსიკალური შოქერი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 19.40 — „სოფლის სიახლენი“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 20.00 — სატელევიზიო ჟურნალი „ჯანმრთელობა“. 20.50 — კონცერტი. 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.50 — მხატვრული თოლმი „სიყვარულის დღესასწაულები“ (რუმინეთ-საფრანგეთის ერთობლივი ნაწარმოები). 23.25 — გადაცემათა პროგრამა 29 დეკემბრისათვის. 23.30 — საუსტრაიო კონცერტი (გადმოცემა რიგიდან).

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ 17 საათსა და 40 წუთიდან.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ჩიო-ჩიო-სანი, **რუსთაველის სახელობ